შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 405795714;

დირექტორი: სალომე ბეჟაშვილი (პირადი ნომერი: 01024069332);

თარიღი: 09 სექტემბერი, 2025 წელი

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N09/09/2025/03

საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემიის

პროფესიული სტუდენტის / მსმენელის ეთიკის კოდექსი

თბილისი

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. **შპს საქართველოს მაღალი მიღწევების საერთაშორისო აკადემია** (შემდგომში - აკადემია) წარმოადგენს საგანმანთლებლო აკადემიას და მისი მისიაა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საზოგადოებისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდებით კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება და დასაქმება, ასევე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია.

1.2. ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპზე დამყარებული აკადემიის კარი ღიაა ყველასათვის განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა.

1.3. აკადემიის პროფესიული სტუდენტის/მსმენლის ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) განკუთვნილია პროფესიული სტუდენტისა და მსმენლისათვის. იგი საგანმანათლებლო ღირებულებების, კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს პროფესიული სტუდენტის/მსმენლის ქცევის ზოგად ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს.

1.4. წინამდებარე კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედოს პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა.

1.5. წინამდებარე კოდექსი მოქმედებს აკადემიის სხვა შიდა სამართლებრივ რეგულაციებთან ერთად და განახლებადია.

1.6. აკადემიის თითოეული პროფესიული სტუდენტი/მსმენელი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა სამართლებრივი რეგულაციებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის უფლებები

2.1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს:

2.2.1. მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

2.2.2. საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი რეგულაციებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ- ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

2.2.3. საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

2.2.4. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

2.2.5. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, რაიმე საფუძვლით დისკრიმინაციის ან/და შეურაცხყოფისაგან;

2.2.6. თავისუფლად გამოთქვას აზრი და მოითხოვოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა;

2.2.7. წერილობით გაასაჩივროს პროფესიული განათლების მასწავლებლის/განმახორციელებლის, აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის ან სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენლის არამართლზომიერი ქმედება მის მიმართ; პროფესიული სტუდენტის/მსმენლის ზემოაღნიშნული საჩივარი წარედგინება აკადემიის დირექტორს;

2.2.8. სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

2.2.9. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს მის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე;

2.2.10. განახორციელოს მისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი რეგულაციებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის ვალდებულებები

3.1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

3.1.1. გაუფრთხილდეს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები;

3.1.2. არ მოახდინოს ალკოჰოლური სასმელის, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული სხვა ნივთიერებების რეალიზაცია, რეკლამირება/პროპაგანდა ან/და მოხმარება აკადემიის შენობა-ნაგებობასა და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე. თამბაქოს მოხმარება დასაშვებია შინაგანაწესის შესაბამისად აკადემიის დირექტორის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ ადგილას;

3.1.3. არ გადაადგილდეს აკადემიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან/და ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში.

3.1.4. არ ატაროს და არ გამოიყენოს სანადირო, სპორტული, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა და ცივი იარაღი აკადემიის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

3.1.5. არ ითამაშოს აზარტული თამაშები აკადემიის ტერიტორიაზე;

3.1.6. არ გამოიყენოს მობილური ტელეფონი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (აუდიტორიებში, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებში);

3.1.7. არ განახორციელოს პოლიტიკური აგიტაცია აკადემიის შენობა-ნაგებობაში და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე;

3.1.8. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს სასწავლო პროცესის ჩაშლას ან ჩაშლის მცდელობას;

3.1.9. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს ძალადობის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების ფაქტს პროფესიული სტუდენტების/მსმენლებისა და აკადემიის პერსონალის მიმართ;

3.1.10. არ სცადოს შეფასების მიღება პროფესიულ მასწავლებელზე / განმახორციელებელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;

3.1.11. პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენლის და აკადემიის პერსონალის უფლებებსა და თავისუფლებებს;

3.1.12. არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს აკადემიის რეპუტაციასა და პრესტიჟს;

3.1.13. დაიცვას წინამდებარე კოდექსით, შინაგანაწესით, აკადემიის სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3.2. აკადემიაში არსებობს პროფესიული სტუდენტის/მსმენლის მიერ გაცდენილ საათთა აღრიცხვის ჟურნალი, რომლსაც აწარმოებენ სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

მუხლი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობა

4.1. პროფესიული სტუდენტის/მსმენლის მიერ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის მოქმედი შინაგანაწესით დადგენილია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე კოდექსი მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.

5.2. წინამდებარე კოდექსის განთავსდება აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას საჯაროდ გაცნობისათვის.

5.3. წინამდებარე კოდექსის გაცნობა ხორციელდება პროფესიულ სტუდენტებისათვის/მსმენლებისათვის.

5.4. წინამდებარე კოდექსი წარმოადგენს შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს.

5.5. წინამდებარე კოდექსში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

5.6. წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დაუყონებლივ უნდა განთავსდეს აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას საჯაროდ გაცნობისათვის.